ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის 2009/2010 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის

სადოქტორო პროგრამა

1. სადოქტორო პროგრამის სახელწოდება

სამართალმცოდნეობა

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი

სამართლის დოქტორი (Doctor Juris / PhD in Law)

3. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი

იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი – პაატა ტურავა

4. სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

ა) პროგრამის მიზანი

სამართალმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა არის დარგობრივი სადოქტორო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს სამართლის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების მეცნიერულ კვლევას, სამართლის მეცნიერებისა და სამართლებრივი აზროვნების განვითარებას, აგრეთვე არსებული სამართლის სისტემების არსში წვდომას, მათი ნაკლოვანი მხარეების წარმოჩენას და შესაბამისი წინადადებების შემუშავებას.

ბ) პროგრამის შედეგი

სამართალმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული უნდა ფლობდეს სამართლებრივი პრობლემების სწორი მეცნიერული ინტერპრეტირებისა და სამართლებრივი კონფლიქტების სამართლებრივი მეთოდებით გადაწყვეტის უნარს, აგრეთვე სამეცნიერო კვლევისა და სწავლების თანამედროვე მეთოდებს.

5. სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობა

სამართალმცოდნეობის სადოქტორო პროგრამაზე მიიღებიან სამართლის მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირები, რომლებიც აკმაყოფილებენ დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. სადოქტორო პროგრამის კომპონენტები

1. სამართალმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა წარმოადგენს სასწავლო პროგრამებისა (სასწავლო კომპონენტი) და სამეცნიერო კვლევების (კვლევითი კომპონენტი) ერთობლიობას და იგი მოიცავს 180 კრედიტს. აქედან სასწავლო კომპონენტს ეთმობა 60 კრედიტი, ხოლო კვლევით კომპონენტს – 120 კრედიტი.
2. სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტებია:
   - სწავლების თანამედროვე მეთოდების კურსი – 5-15 კრედიტი;
   - პროფესორის ასისტენტობა – 5-10 კრედიტი;
   - აკადემიური წერა და კვლევის მეთოდებისა და ხერხების კურსი – 10-20 კრედიტი;
   - ორი სასემინარო ნაშრომის – კოლოკვიუმის მომზადება და აუდიტორიის წინაშე დაცვა – 10-30 კრედიტი.
3. სასწავლო კომპონენტის სხვა ელემენტები არჩევითია.

4. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, საერთო საუნივერსიტეტო სქემის ფარგლებში, ადგენს დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელთან და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

7. სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

იურიდიულ ფაკულტეტს გააჩნია ბიბლიოთეკა (9853 ერთეული წყარო), კომპიუტერული ცენტრი (27 კომპიუტერი), საკონფერენციო დარბაზი, აუდიტორიები, სამეცნიერო ჟურნალი.

8. სადოქტორო პროგრამაზე მისაღები დოქტორანტების რაოდენობა

სამართალმცოდნეობის სადოქტორო პროგრამაზე მიიღება არა უმეტეს 20 დოქტორანტისა.

9. სადოქტორო პროგრამაში მონაწილე პროფესორები

სადოქტორო პროგრამაში მონაწილეობენ იურიდიული ფაკულტეტის სრული და ასოცირებული პროფესორები.